ხელშეკრულება №26
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ერთი მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი **დირექტორის ზურაბი ჯინჭარაძის სახით** და მეორე მხრივ **ი/მ იროდიონ ივანიძე** (შემდგომში „მიმწოდებელი”) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

დაფინასნების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტი: ცხენების საკვებად თივის , ქერის და შვრიის შეძენა.

N	დასახელება	ძირითადი მახასიათებლები	რაოდენობა	ერთ.ფასი	საერთ ღირებულება (ლარი)	cpv
1	თივა	ტუკებით არანაკლებ 15 კგ-იანი, დაპრესილი ვეგეტაციის პერიოდში,მინარევების,სარეველების გარეშე,ფოთოლი საღი,არ უნდა იყვეს მზისგან დამწვარი და დანასველები	65	25	1625	15730000
2	შვრია	უმაღლესი ხარისხის	500	1.50	750	03211600
3	ქერი	უმაღლესი ხარისხის	250	1.40	350	03211400
			ჯამი		2725	

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2725 (ორიათას შვიდას ოცდახუთი) ლარს.**

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საფინანსო დოკუმენტების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან /და ინვოისი ან/და ზედნადები) საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი კომისია.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 **საქონლის მიწოდება განხორციელდება ჩოხატაური დუმბაძის ქუჩა N45.-ში**

6.2**. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 18 აპრილის ჩათვლით .**

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებლი იღებს ვალდებულებას,რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში ვადიანი და ხარისხიანი.

7.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლემოსილია ხელშეკრულების ვადის გასვლის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების

პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე. თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით როგორიცაა წყალდიდობაა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები. აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

12.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება.

13. ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადები

13.1 ხელშეკრულების შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 18 აპრილის ჩათვლით.

13.2 ხელშეკრულება მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 მაისის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის დირექტორი ზურაბი ჯინჭარაძე
მისამართი: დუმბაძის ქ.№45
საინდ.კოდი 441995995
სახელმწიფო ხაზინა

chokhatauri municipality sport and sports event organizing centre

Digitally signed by chokhatauri municipality sport and sports event organizing centre
Date: 2022.04.14 11:21:57 +04'00'

„მიმწოდებელი“
ი/მ იროდიონ ივანიძე
მისამართი: ასპინძა სოფ.აწყვიტა
საინდ.კოდი 05001002634
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ:№GE49BG0000000562287200

Irodion Ivanidze 05001002634

Digitally signed by Irodion Ivanidze
Date: 2022.04.14 12:39:23